საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №175/17

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- (მხარე) 2017 წლის 16 ოქტომბრის №-- საჩივრის, -- -- 2017 წლის 29 ნოემბრის №-- საჩივრისა და -- -- (წარმომადგენელი) 2017 წლის 16 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 26 ივნისის №175/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი -- -- და მისი წარმომადგენელი -- -- მიუთითებენ საქმის უსაფუძვლო გაჭიანურებაზე; მოსამართლე -- -- მიკერძოებულობაზე; ასევე, მოსამართლის მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უკანონოდ უარის თქმაზე; საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ უკანონოდ დააჯარიმა -- -- 150 ლარით, ხოლო 2017 წლის 6 სექტემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ აღნიშნა, რომ გამონაკლისის სახით მთავარი სხდომიდან ბრუნდებოდა მოსამზადებელ ეტაპზე, თუმცა როცა შეამჩნია უკმაყოფილება მოპასუხე მხარეს, შეცვალა თავისი პოზიცია და თქვა რომ ასე არ უთქვამს...

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2011 წლის 25 ივლისს -- -- კანონიერმა წარმომადგენელმა (დედა) -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - ბმა -- -- და შპს -- მიმართ, შემდეგი მოთხოვნით: ბმა -- და შპს -- დაევალოს აღკვეთოს მოსარჩელის სახელზე რიცხულ ფართში მიმსვლელ-მომსვლელ პირებზე ყოველგვარი ზეგავლენა და აეკრძალოს ყოველგვარი ხელშეშლა; ასევე წესდების გაუქმება, ასევე უკანონოდ დაწესებული ყოველთვიური საწევროს გადასახადის დაბრუნება 8160 ლარის ოდენობით; ასევე ბმა -- დაევალოს 1 წლის შემოსავლის გადახდა 2000 ლარის ოდენობით. ასევე მისი უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნეს საერთო საკუთრების ფართები. გაუქმდეს ამხანაგობასა და შპს -- შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.

2011 წლის 19 აგვისტოს სასამართლომ სარჩელი მიიღო წარმოებაში. 2011 წლის 1-2 სექტემბერს მოპასუხეებმა წარადგინეს შესაგებლები.

2017 წლის 23 ივნისიდან სამოქალაქო საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 14 ივლისს, საქმის განხილვა გაგრძელდა 2017 წლის 26 ივლისს, რომელიც გაგრძელდა 2017 წლის 31 ივლისს, შემდგომი სხდომა ჩაინიშნა 2017 წლის 6 სექტემბერს.

შემდგომი მოსამზადებელი სხდომა გადაინიშნა 2017 წლის 18 სექტემბერს, რომლის განხილვა გაგრძელდა 2017 წლის 6 ოქტომბერს, ხოლო შემდგომ 2017 წლის 10 ნოემბერს.

საქმის განხილვა დასრულდა 2017 წლის 8 დეკემბერს. -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. -- საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება -- -- მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრდა 2018 წლის 11 იანვარს.

-- საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ბმა -- -- და შპს -- მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრდა 2018 წლის 18 იანვარს. საქმის განხილვა მიმდინარეობს -- სააპელაციო სასამართლოში.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

3.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთი დისციპლინური გადაცდომის სახეს წარმოადგენს საქმის უსაფუძვლო გაჭიანურება.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის/საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ

შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებითი განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria; 50; Bock v. Germany, 35).

ამასთან, საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; 93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, 129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; 98).

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოსამართლე -- -- სამოქალაქო საქმე გადაეცა 2017 წლის 23 ივნისიდან, ამდენად მისთვის საქმის განხილვისათვის განსაზღვრული ვადის ათვლაც უნდა დაიწყოს კონკრეტული თარიღიდან. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მოსამართლემ მიიღო 2017 წლის 8 დეკემბერს, რომლითაც -- -- სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ. საერთო ჯამში მოსამართლემ საქმის განხილვას მოანდომა 5 თვე და 15 დღე, ანუ საქმე განიხილა 15 დღის ვადაგადაცილებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქმედების საქმის განხილვის ,,უსაფუძვლო“ გაჭიანურებად მიჩნევისთვის, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ საქმის განხილვის ვადებთან ერთად, მხედველობაში მიიღება საქმის მოსამართლის წარმოებაში ყოფნის პერიოდი, საქმეთა სიმრავლე, დატვირთულობა და განსახილველ საქმესთან მიმართებაში მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები და გაჭიანურების ხანგრძლივობა. განსახილველ შემთხვევაში მცირემნიშვნელოვანი ვადის გაჭიანურების გათვალისწინებით, მოსამართლე -- -- ქმედება ვერ შეფასდება როგორც დისციპლინური გადაცდომა.

3.2. საჩივრის ავტორები ასევე მიუთითებენ, მოსამართლის მიერ წარმომადგენლის -- -- უკანონოდ დაჯარიმების ფაქტზე.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის თანახმად, „სასამართლოში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სასამართლოს თავმჯდომარე... სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. თუ გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს მის გაყვანას სასამართლოდან, ამასთანავე, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა ან პატიმრობა.“ ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევ პირს, მათ შორის, გაძევებულ პირს, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებით შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 50-დან 500 ლარამდე ოდენობით, რაზედაც გაიცემა სააღსრულებო ფურცელი.“

უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე -- -- მხარის დაჯარიმების შესახებ განკარგულების მიღებისას მოქმედებდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და შესაბამისი საკითხების შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მის კანონიერებაზე.

3.3. წარმოდგენილ საჩივარში, მითითებულია მოსამართლის მიკერძოების შესაძლო ფაქტზე. აღნიშნულის საფუძვლად, მომჩივანი კონკრეტულ შემთხვევაზე მიუთითებს და აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლე მას აწყვეტინებდა საუბარს, არ აძლევდა საშუალებას დაესრულებინა და ჩამოეყალიბებინა პოზიცია, მაშინ როდესაც მეორე მხარე ბევრად მეტ დროს ანდომებდა საუბარს და ამის შესახებ მოსამართლე პრეტენზიას არ გამოთქვამდა.

მოცემულ შემთხვევაში, იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიკერძოების ფაქტს, მნიშვნელოვანია საწყის ეტაპზე ყურადღება გავამახვილოთ ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ საკითხებზე:

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 3.1. პუნქტის თანახმად, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი საქციელი გონიერი დამკვირვებლის თვალში იყოს უმწიკვლო. ამასთან, 3.2. პუნქტის შესაბამისად, მოსამართლის ქცევამ და მოქმედებამ უნდა განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს შეუვალობის მიმართ. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა გამოჩნდეს როგორც აღსრულებული.

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას – აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი შეხედულებებისა თუ გავლენების არ ქონას და მე-6 მუხლის მიზნებისათვის იგი შემდეგი გარემოებების საფუძველზე დგინდება: სუბიექტური ტესტით, რომლის თანახმად ფასდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მოსაზრებები, ქცევა - გააჩნდა თუ არა მოსამართლეს მოცემული საქმის შედეგით პირადი დაინტერესება ან ჰქონდა თუ არა მას წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება; და ობიექტური ტესტით, უზრუნველყოფილია თუ არა სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე, საფუძვლიანი ეჭვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიები (*Fey v. Austria* § 28 და 30; *Wettstein v. Switzerland*, § 42). სადაც რთულია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმფციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს (*Pullar v. the United Kingdom*, § 32).

განსახილველ საქმესთან მიმართებით, მომჩივანი მოსამართლის მიკერძოების კონკრეტულ შემთხვევას ასახელებს. სადავო ფაქტის გამოკვლევის მიზნით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტიდან მოხდა სხდომების ვიდეო მასალების გამოთხოვა, რის შემდგომაც მოხდა ყოველი სხდომის დეტალური მოსმენა/შესწავლა. მოსამართლე როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის საუბარში ერევა მაშინ როდესაც ისინი სცდებიან საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების ფარგლებს და მოუწოდებს მათ ისაუბრონ საქმესთან ახლოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოსამართლე მხარეს სიტყვისათვის ან/და საქმის განხილვის თითოეული ეტაპისათვის განუსაზღვრავს დროს. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის სირთულიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მხარეს განუსაზღვროს დამატებითი დრო, რომელიც არ გამოიწვევს საქმის განხილვის გაჭიანურებას. მოსამართლის ქმედება შესაძლოა განვიხილოთ კონკრეტული მუხლის ჭრილში, მოსამართლის

მიერ მხარეთათვის საუბრის შეზღუდვა სწორედ ემსახურება სხდომის მიმდინარეობის უსაფუძვლო გაჭიანურების თავიდან არიდებას. მოსამართლე -- -- ქმედებები გარეშე დამკვირვებლისთვის არ იძლეოდა იმის დასკვნის საფუძველს, რომ მოსამართლემ ამ ქმედებით გამოხატა მიკერძოება.

ამდენად, სადავო შემთხვევასთან არ დგინდება მოსამართლის მიკერძოებულობა. შესაბამისად, არ დასტურდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

3.4. საჩივრის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ მოსამართლემ მხარის მიერ დასახელებული გარემოება არ მიიჩნია საპატიოდ, რის გამოც არ განიხილა მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა, ასევე მხარეს უარი უთხრა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[10] მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის თანახმად, „სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს სასამართლო სხდომაზე“. „მხარეთა და მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობები და განცხადებები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის ან გამოთხოვის შესახებ სასამართლომ შეიძლება განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარმოდგენა, აგრეთვე თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და განცხადებების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე.“ ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის თანახმად „სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. მტკიცებულებათა მიუღებლობის, მათ გამოთხოვაზე უარის თქმის ან საქმიდან მათი ამოღების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც ცალკე არ გასაჩივრდება.“

უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე -- -- შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინების მიღებისას მოქმედებდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და შესაბამისი საკითხების შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მის კანონიერებაზე.

ამდენად, არ დასტურდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

3.5. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ 2017 წლის 6 სექტემბრის სხდომაზე გამოაცხადა, რომ უძღვებოდა სასამართლოს მოსამზადებელ სხდომას, მაშინ როდესაც მთავარი სხდომა იყო დანიშნული. სხდომის ოქმის მოსმენის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსამართლემ მხარეს განუმარტა, რომ შესაძლოა მან გამოცხადების დროს დაუშვა შეცდომა. ბუნებრივია აღნიშნული ტექნიკური უზუსტობა არ შეიძლება აღქმულ იქნეს მოსამართლის მიერ რაიმე სახის დისციპლინურ გადაცდომად. სხდომის ვიდეო მასალის გაცნობის შემდეგ, არ დადასტურდა მხარის წარმომადგენლის, -- -- მიერ საჩივარში მითითებული გარემოება, თითქოს მოსამართლემ გადახედა მხარეებს და მას შემდეგ რაც შენიშნა, რომ უკმაყოფილოები იყვნენ, მოსამზადებელი სხდომა გადაზარდა მთავარ სხდომაში. კონკრეტული შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია მოსამართლის მიერ დისციპლინურ გადაცდომის ჩადენის ფაქტს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 8 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №175/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი